



**აჭარის  
თელავიზია  
და რადიო**

**საზოგადოებრივი მაუწყებელი**

**2017 წლის I კვარტალის ანგარიში**

ბათუმი

## სარჩევი

1. შესავალი
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა
3. კვარტალის მიღწევა
4. კვარტალის გამოწვევა
5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები

რადიო - შედეგები და საჭიროებები

ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები

6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები
7. იურდიული მხარდაჭერა
8. კვარტალის ტენდერები
9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა
10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა
11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები
12. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი
13. ჩვენი სხვა აქტივობები
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

## 1. შესავალი

გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში „მაუწყებელი“) 2017 წლის იანვარი, თებერვალი და მარტის აქტივობების შედეგები - პირველი კვარტალური ანგარიში.

მოგესხენებათ, მაუწყებელი პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნითაა დაფუძნებული.

ორგანიზაცია საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესის სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სიფყვისა და გამობადვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით და მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამული პრიორიტეტებით.

ჩვენ ვმუშაობთ საზოგადოებისთვის, რადგან მაუწყებლის მთავარი ვალდებულებებია<sup>1</sup>:

- ✓ უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება
- ✓ უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ
- ✓ საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები
- ✓ პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი
- ✓ ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი
- ✓ ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით
- ✓ პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება
- ✓ ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები
- ✓ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაწყვეტებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი

<sup>1</sup> „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 16

- ✓ ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- ✓ სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები
- ✓ უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები დაიგეგმა და სრულდებოდა სწორედ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

ჩვენ სრულად ვაანალიზებთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის კარგად ინფორმირებული საზოგადოებაა საჭირო, საზოგადოება კი ვერ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ხარისხიანი მაუწყებლობის გარეშე.

ამიტომაცაა, რომ მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად ისე, რომ სიწყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოში.



## 2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

---

საგულისხმოა, რომ წინა პერიოდებში მაუწყებელს არ ჰქონდა შემუშავებული კვარტალური ანგარიშის ფორმა. სამუშაო შეხვედრების შემდეგ მრჩეველთა საბჭოს წარდგინა ნიმუში, რომელიც მცირე კორექციით დამტკიცდა და მომავალში საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ძირითადი ინსტრუქცია იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდი დაეთმო ტექნიკურ დეტალებს და უმეტესად წარმოადგენდა ორგანიზაციის მართვის გაცნობისა და გადმოხარების პროცესებს, წინასწარი გეგმები გაწერილი იყო შემდეგ აქტივობებზე:

1. მოკლევადიან და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება
2. სტრუქტურის კორექცია და ახალი მოდელის შემუშავება
3. რადიოს ვიზუალიზაციის საკითხების შესწავლა და მხარდაჭერა
4. რადიოს შენობის ადაპტირების საკითხის შესწავლა და დაწყება
5. HR მიმართულების გამართვა
6. საკადრო პოლიტიკის გამართვა და სამსახურში გამოცხადების მაჩვენებლების შესწავლა
7. სტაჟირების კონკურსის ჩატარება
8. იურდიული დეპარტამენტის გაძლიერება
9. დონორებთან მუშაობა
10. ნიუსრუმის თანამედროვე დაგეგმარება საარჩევნო მიმართულებების, დებატების, დისკუსიების ფორმატების შემოღება
11. ტექნიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გეგმები წინასწარ არ იყო შეთანხმებული, შესრულების მაჩვენებლები და ინდიკატორები მოცემულია ანგარიშის მთლიან კონტექსტში.

### 3. კვარტალის მიღწევა

1. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო 11-12 მარტის აქციის გაშუქება და საზოგადოების ინფორმირებულობა. მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებელმა დაიგვიანა ახალი ამბების სამსახურის მუშაობის შედეგების პირდაპირი ეთერით ჩვენება, რასაც საწყის ეტაპზე სამართლიანად მოჰყვა მაყურებლების კრიტიკა,<sup>2</sup> საბოლოოდ, მაუწყებლის გუნდმა დაძაბულ და საფრთხის შემცველ გარემოში შეძლო ემუშავა საზოგადოების ინფორმირებულობისათვის. მაუწყებელი გახდა წყარო ქართული და უცხოური არხებისათვის. აღნიშნული ახალი ამბების სამსახურის განსაკუთრებული მუშაობის შედეგია<sup>3</sup>
2. მაუწყებელმა მოამზადა საინფორმაციო ვიდეორგოლი, სადაც თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრის შემოქმედის შესაძლებლობაზეა მითითება<sup>4</sup>
3. ახალი წლის დღეებში განახლებული სეზონის დაწყება და ახალი ამბების სამსახურის მუშაობა უცვლელ რეჟიმში. ამ დაგეგმვის შედეგად დადგინდა, რომ წინასაახალწლოდ მაუწყებელს („მთავარი“) ჰყავდა ყველაზე მეტი მაყურებელი (23 762)
4. მაუწყებელმა შეიძინა ერთ-ერთი რეიტინგული სპორტული ღონისძიება - 6 ერის რაგბი
5. 2017 წლის 10 იანვრიდან მაუწყებელი სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ოფისის განლაგების გამო ქირას აღარ გადაიხდის. მიღწეულია შეთანხმება, რათა საზოგადოებრივი არხების საქმიანი გადაკვეთა იყოს თავისუფალი დამატებითი ფინანსური ხარჯებისაგან
6. მაუწყებლის ეთერში განთავსებულია საქართველოში ყველაზე სანდო და კვალიფიციური ჯგუფის ააიპ „სტედია მონიტორის“ საგამოძიებო ფილმები
7. „მთავარი“ 18:00 საათზე სურდოთარგმანითაა უზრუნველყოფილი. გარდა წინასაარჩევნო პერიოდებისა, მაუწყებელმა აიღო ვალდებულება ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს სმენადაქვეითებული პირებისათვის. მნიშვნელოვანი იქნება სამომავლოდ ასევე გადიდდეს ნაბიჯები გადაცემების ანალოგიურ ფორმატში თარგმნისათვის
8. მიმდინარეობს ტექნიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი<sup>5</sup>
9. მაუწყებელი გადავიდა MPEG გავრცელების ფორმატზე
10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა სტრუქტურის კორექცია და სტრატეგიის<sup>6</sup> შემუშავება, 2017 წლის 14 მარტს ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შუალედური კვლევის პრეზენტაცია<sup>7</sup> კვლევა მაუწყებლის ორწლიანი მონიტორინგის ფარგლებში დაგეგმილი დაკვირვების შედეგს ასახავს. მაუწყებელს ჰქონდა შესაძლებლობა პრეზენტაციაზე დამსწრე სტუმრების რეკომენდაციები მოესმინა, ჩატარდა SWOT ანალიზი, ასევე გაიყვალა მოსაზრებები სტრატეგიის და სტრუქტურის თაობაზე
11. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია გადაწყვეტილება ხათუნა მანაგაძის გადაცემის აღდგენის თაობაზე. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გადაცემის ფორმატთან დაკავშირებით
12. მაუწყებელში ჩამოყალიბდა ხარისხის კონტროლის სისტემა - მონიტორინგის სამსახური შეუდგა მუშაობას

<sup>2</sup> „როგორ ვაპატიოთ აჭარის ტელევიზიას, აქციის დაშლის დროს, მის ეთერში მოცეკვავე ადამიანები?“  
<http://mediachecker.ge/blogs/detail/95/>

<sup>3</sup> მუშაობის ამსახველი ვიდეორგოლი - [https://www.facebook.com/pg/AjaraTV/videos/?ref=page\\_internal](https://www.facebook.com/pg/AjaraTV/videos/?ref=page_internal)

<sup>4</sup> თვითრეგულირების შესახებ ვიდეორგოლი <https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1284456444963912/>

<sup>5</sup> კომპანია „ინოვაციური“

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98>

<sup>6</sup> მმართველობითი საკონსულტაციო გუნდი <http://synergy.ge/>

<sup>7</sup> კვლევა „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს საქმიანობის

შეფასება“ <http://www.transparency.ge/post/report/sazogadoebrivi-mautsqebli-acharis-televiziisa-da-radios-sakmianobis-shepaseba>

13. შიდასტანდარტების გაძლიერებისა და პროფესიული უნარების ამაღლების მიზნით, 2017 წლის 6 თებერვლიდან მაუწყებლის მუშაობას (გადაცემები: „მთავარი“ - 12:00 „მთავარი“ - 21:00 „ფაქტორი“ „ჰეშთეგი“) ორთვიანი სასწავლო მედიამონიტორინგი ჩატარდა. ააიპ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მონიტორინგის დასკვნები გახდა შიდასამუშაოების კორექციის საფუძველი<sup>8</sup>
14. მაუწყებლის მხარდამჭერია ევროპის საბჭო. დონორის დაფინანსებით 14-15 თებერვალს ჩატარდა გასვლითი შეხვედრა „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს ოპმენეჯერებისათვის მაუწყებლის როლზე და ფუნქციებზე“  
შეხვედრაში მაუწყებლის წარმომადგენლებთან ერთად, ჩართულები იყვნენ ჟურნალისტი, „სტუდია მონიტორის“ გუნდის ხელმძღვანელი ნინო ზურიაშვილი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმძღვანელი ნათა ძველიშვილი, ევროპის საბჭოს ექსპერტი ნანა მჭედლიშვილი და „სინერჯი ჯგუფი“ შეხვედრის ძირითადი ორგანიზატორი იყო მაუწყებლის მოკლევადიანი/ გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტების გამართვაზე და მოქმედი სტრუქტურის კორექციაზე
15. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეეცვალათ თემატური მიმართულება დოკუმენტური ფილმების ავტორებს და 2017 წლის თებერვლის თვიდან ისინი კონკრეტულ თემებზე მუშაობენ - რელიგიის ისტორია, უახლოესი არქეოლოგიური აღმოჩენები, სპორტული მიმართულება, ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებული საინტერესო მოვლენები და ისტორიები და ცნობილი კოლექტივები და შენობები სადაც ისინი მოღვაწეობდნენ. ამ თემებით კვირაში ერთი დოკუმენტური ფილმი გვაქვს ეთერში, რაც მრავალფეროვნებას უზრუნველყოფს და ამ კუთხითაც მიმზიდველი ხდება მაუწყებელი
16. მაუწყებელში რეგულარულად ხდებოდა მხოლოდ ერთი სპორტული სახეობის, ფეხბურთის მატჩების პირდაპირი ტრანსლაცია, ამ ეტაპზე გარდა ფეხბურთისა, ასევე მიმდინარეობს რაგბისა და კალათბურთის მატჩების პირდაპირ ეთერში ტრანსლაცია.

<sup>8</sup>აიპ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია <http://qartia.org.ge/>

#### 4. კვარტალის გამოწვევა

---

კვარტალის გამოწვევა ორგანიზაციის მმართველობის გადაბარებასთან ერთად ტექნიკური საკითხების თაობაზე თადარიგის დაჭერა, ორგანიზაციის კუთვნილი აპარატურის არადანიშნულების მიხედვით გამოყენება და საკადრო პოლიტიკა იყო.

##### ტექნიკური საკითხების თაობაზე თადარიგის დაჭერა

MPEG4 სტანდარტზე გადასვლის გამო, რაც გულისხმობს გავრცელების სტანდარტის ცვლილებას აზერკოსმოსის მომსახურებაში. მნიშვნელოვანი ხელშეშლები არ იყო მოსალოდნელი, თუმცა ხარვეზი მაინც დაფიქსირდა. კერძოდ, მაუწყებელი ორი დღის განმავლობაში არ ჩანდა საძიებო სისტემაში, გათიშული იყო სიგნალი ვებპორტალზე [WWW.MYVIDEO.GE](http://WWW.MYVIDEO.GE) ხარვეზების შემცირებისათვის დამატებითი შენაძენები და აქტივობები განხორციელდა, მათშორის, მომზადდა რგოლი და სხვა მასალები<sup>9</sup> ახალი პარამეტრების გაცნობისათვის, თუმცა უკეთესი თადარიგის შემთხვევაში, შესაძლებელია ინფორმირებულობით მაინც მომხდარიყო უარყოფითი შედეგის შეცვლა. საგულისხმოა, რომ მაუწყებლისათვის პრიორიტეტულია საკაბელო ქსელებში გავრცელების ხარისხი. აღნიშნული ასევე წარმოადგენს ოფიციალური მიმოწერისა და საჭიროების დაზუსტების საკითხს.

##### ორგანიზაციის კუთვნილი აპარატურის არადანიშნულების მიხედვით გამოყენება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა ქორწილში მაუწყებლის კუთვნილი აპარატურის გადანის ფაქტი. რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება.

##### საკადრო პოლიტიკა

პირველი კვარტალის განმავლობაში ერთ-ერთი ხელშეშმული გარემოება იყო წინა მენეჯმენტის მიერ გაცემული დაპირება ხელფასის მატების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში არ იყო გაწერილი კონკრეტული მიმართულებით ხელფასების მატება, არ იყო დაგეგმილი სახელფასო კალათის სწორი მართვა, აღნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვნად გაუსვა ხაზი სახელფასო კალათის შექმნას და თანამშრომელთა მიმართ თანაბარი მოპყრობის აუდიტებლობას - მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკას ვერ უძლებს სამტაფო ნუსხის შემადგენლობა, რომლის თანახმადაც მხოლოდ ზოგიერთ დასაქმებულს აქვს შექმნილი გრძელვადიანი გარანტიები. აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება მიბმულია სტრუქტურის კორექციის პროცესთან, რომელიც შემდეგი კვარტალის მთავარი სამუშაო თემა იქნება.

---

<sup>9</sup><https://www.facebook.com/AjaraTV/photos/a.273380486071518.65295.128194083923493/1290972810978942/?type=1&theater>

## 5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიწყო გადაცემების შეფასება/კალკულაცია და იდეების შიდაკონკურსი, რაც მაუწყებელს გადაცემების განახლებისა და ახლებური დაგეგმვის შანსი იქნება.

მედია მეხვედრები გადაცემების გუნდებთან, თუმცა არსებული გადაცემების დაგეგმვა, პროექტების დამტკიცების აქამდე არსებული პოლიტიკა არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად შემუშავდეს მიდგომა/შეფასების სისტემა „პროგრამა=პრიორიტეტს“. ამიტომ პრიორიტეტებისა და კანონმდებლობის შესრულების მაჩვენებელზე მთავარი აქცენტი სამომავლო განახლებისას გაკეთდება.

ამ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა გარეწარმოების კოეფიციენტის შეთანხმება და შესრულება.

### #ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების და შემოქმედების გუნდები ქმნიდნენ კონტენტს, რომელიც შეესაბამებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნებსა და საჭიროებებს.<sup>10</sup>

კვარტალის მთავარი სიახლე იყო მაუწყებელში სადისკუსიო სივრცის განახლება. პოლიტიკური ტოკშოუ „ფაქტორი“ რუსუდან აბაშიძესთან ერთად<sup>11</sup> აშუქებს აქტუალურ თემატიკას, ახდენს ანალიზს. გადაცემაში დისკუსიისას გაულერებული ექსკლუზიური ინფორმაცია რამდენჯერმე გახდა განჯის და შეფასებების საგანი აუდიტორიაში, სოციალურ ქსელებში. გადაცემიდან საინტერესო მონაკვეთებმა, პირდაპირი ეთერიდან გადაინაცვლა ვებ პორტალზე და არხის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე. გადაცემა გამართული და დაბალანსებული იყო, თუმცა გამომწვევად კვლავ ტექნიკური ხარვეზები რჩება.

11-12 მარტის ბათუმის მოვლენების გაშუქება. აქცია დაწყებისთანავე გადაიყვანა ფეისბუქ ლაივის მეშვეობით, დაიგეგმა ორი სპეციალური საინფორმაციო გამოშვება. სპეციალური გამოშვების დასრულების შემდეგ, ერთ საათში, განვაახლეთ პირდაპირი ეთერი და 14 საათის განმავლობაში უწყვეტად ვაშუქებდით ბათუმში მიმდინარე მოვლენებს. გამოიკვეთა, რომ აუცილებელია შევქმნათ დოკუმენტი, თუ როგორ ვიმუშავებთ კრიტიკული სიტუაციების დროს, როგორია გუნდის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია. გარდა შიდა სამუშაო დოკუმენტისა, აუცილებელია, საგანგებო სიტუაციების დროს, გადამღები ჯგუფების უსაფრთხოებისთვის სპეციალური აღჭურვილობის შეძენა. ასევე დაკონკრეტდეს, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა გადამღები ჯგუფების უსაფრთხოებაზე.

ვიწყებთ მოვლენების მულტიმედიურ გაშუქებას და მომხმარებელს, გარდა იმისა, რომ შეუძლია ინფორმაცია მიიღოს ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით, უკვე შეეძლება დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ონლაინ არხის მეშვეობით. ახალი ამბების სამსახურისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება, ასევე უფრო მაღალი პრიორიტეტით სარგებლობს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა. ახალი ამბების სამსახური ამ გადაწყვეტილებით კიდევ უფრო უზრუნველყოფს, საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას არამარტო რეგიონის, არამედ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ამბებით.

<sup>10</sup> კვარტალის გადაცემები <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPRDJnRVNvWGU0czQ/view>  
სპორტი <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPWDdaR096TEJFaHM/view>  
იმპულსი <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPeXiVUw1N1lmaWs/view>

<sup>11</sup> ფაქტორი <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPVVlUeEJMZmpuaFU/view>



განახლებული ფორმით და ძველი სახელწოდებით აგრძელებს მუშაობას გადაცემა „დილის ტალღა“<sup>12</sup> გადაცემას სახელი სოციალური გამოკითხვის შემდეგ დაუბრუნდა.

სიახლეა ასევე გადაცემა „უცხო სუნელი“ ეს არის კულინარიული ექსპედიცია, გემოს ძიებაში, გასტრონომიული ტურიზმი და მზარეულები - ეს ყველაფერი უცხო სუნელის ოთხი სეზონშია. კულინარიულ ექსპედიციაში ჩვენ ვეძებთ ქართული სამზარეულოს უნიკალურ რეცეპტებს, ვეხმარებით გასტრონომიულ ტურიზმს ახალი მარშრუტების დაგეგმვაში, ვაღარებთ ექსპერიმენტებს უნიკალური გემოს ძიებაში და გაგაცნობთ მათ, ვინც ამზადებს ჩვენთვის და ჩვენი სტუმრებისთვის.

მაუწყებლის ახალი შემოთავაზებაა „რჩეული ფრაგმენტები“ - მინიფილმების სერია იმ ადამიანებზე, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს აჭარას. ჩვენ არ ვიყით მათი სახელები. ისტორიას ახსოვს ბევრი. ბევრიც დაივიწყა. გმირების თავგადასავლები ხშირად თავს აფარებენ ლეგენდებს, ეპოსს... ისინი ახსოვთ იქ, სადაც დაიბადნენ... ჩვენ ვეძებთ მათი ცხოვრების უცნობ დეტალებს, ვიკვლევთ ლეგენდებს, თქმულებებს, ვაცოცხლებთ პერსონაჟებს და გარემოს. ჩვენ ვცდილობთ აღვადგინოთ დიდებული ადამიანების პორტრეტები.

მაუწყებლის ახალი გადაწყვეტილებაა გადაცემის „ერთი დღე სოფელში“ მეშვეობით გავიგოთ მეტი ჩვენი ქვეყნის შესახებ - ამიღომ შეიცვალა ფორმატი და გადაცემის გუნდი მომდევნო კვარტალიდან საქართველოს სხვადასხვა სოფლის ისტორიაზე და ცხოვრების ტემპზე მოგვიყვება.

ჩვენი ერთ-ერთი განსხვავებული შეთავაზება გადაცემა „ჰეშთეგია“ გადაცემა სოციალური მიმართულების პროექტია<sup>13</sup>. ეს არის გადაცემა შენზე და ყველაფერზე, რაც შენს ირგვლივ ხდება. პროექტის მთავარი დანიშნულებაა ღირებულებების და საჭიროებების კვლევა. გადაცემის შინაარსი და შესრულების განსხვავებული სტილი უკვე გახდა საზოგადოების და დონორების ყურადღების საგანი.

#### კვარტალის წარმატებული საგრანტო პროექტები

1. საანგარიშო პერიოდში ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსდა საგრანტო პროექტი, რომელიც გულისხმობს გადაცემა „ჰეშთეგია“ 8 ეთნიკური ჯგუფის შესახებ სიუჟეტების მომზადებას და სტუმრების ჩართვას
2. ევროპის საბჭომ დააფინანსა მაუწყებლის თანამშრომლების უნარ-ჩვევების და გადამზადების პროგრამა, რაც მომდევნო კვარტალის განმავლობაში ტრენერების მოწვევის ფინანსურ მხარდაჭერას უკავშირდება
3. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა გადაცემა „ჰეშთეგია“ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ასამაღლებელი ტიხრების/არტების მომზადებას. პროექტი 20 თვითნაირად.

#### კვარტალის პრიზები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახალი ამბების გუნდის მუშაობა ააიპ მედიის განვითარების ფონდის სპეციალური პრიზით შეფასდა. საგამოძიებო სიუჟეტისათვის მაუწყებლის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

#### #რადიო - შედეგები და საჭიროებები

პირველი კვარტალის განმავლობაში რადიოს საეთერო ბადე და პრიორიტეტების შესრულების მაჩვენებელი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო იყო. დღეისათვის რადიო მეტ-

<sup>12</sup> <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPRmVrUGFKKeENHUXc/view>

<sup>13</sup> ჰეშთეგია <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPUWExZTktD0RaRlk/view>

ნაკლებად აკმაყოფილებს საკანონმდებლო მოთხოვნებს<sup>14</sup>, თუმცა არსებული დაგეგმარება სუსტია. გამომწვევად რჩება ბადის განახლება და პროგრამული პრიორიტეტების შესრულება. აღნიშნული სამუშაოების დაძლევის გზად 1-20 აპრილს შიდა იდეების კონკურსის შედეგები მიიჩნევა. სწორედ ეს სამუშაოები დაედება საფუძვლად შემდგომ განახლებებს.

პარალელურ რეჟიმში მთავარი აქცენტი გაკეთდა რადიოს პოპულარიზაციაზე და ტექნიკური განვითარების საკითხზე; განთავსდა ბანერი ქალაქ ბათუმში რადიო აჭარის დილის გადაცემის წამყვანების და გადაცემის რეკლამირების მიზნით. ასევე მოხდა რადიოს ვიზუალიზაციისათვის საჭირო ტექნიკის კალკულაცია და შეძენის გეგმის გაწერა.

საანგარიშო პერიოდში მენეჯმენტის ცვლილებასთან ერთად მაუწყებელი ახალი გამომწვევების წინაშე დადგა. საჭირო გახდა მაუწყებლის სტრუქტურის კორექცია და მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, მათ შორის, რადიოს მიმართულებით. პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და მომდევნო კვარტალიც ამ დამტკიცებული პროექტების მიხედვით დაიგეგმება, რადგან გამოიკვეთა მიზნები და ამოცანები, რომელიც წლის განმავლობაში უნდა იქნეს მიღწეული. კერძოდ :

1. მომზადდა მოკვლევა და მომდევნო კვარტალში დაიგეგმა რადიოს ვიზუალიზაციის პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს რადიოს საეთერო სფეროში ვიდეო კამერების დამონტაჟებას და რადიოს საიფზე ეთერის ტრანსლირებას, რაც იმთავითვე გულისხმობს არხზე კიდევ ერთი, ახალი სამაუწყებლო პლატფორმის გაჩენას.
2. მაუწყებლის პრომოუშენის და ბრენდირების სამსახურთან ერთად დაიგეგმა რადიოს პრომოუშენის ღონისძიებები ,რომლებიც წლის განმავლობაში ეთაპობრივად განხორციელდება. კერძოდ:
  - ✓ რადიოს შენობის ფასადის მოწესრიგება (მოხატვა)
  - ✓ პრომო-ბოქსების განთავსება
  - ✓ შენობის შიდა კორექციული სამუშაოების ჩატარება
  - ✓ რადიოს პრომოუშენისთვის სატელევიზიო არხების და ანონსები დამზადება
  - ✓ რადიოს შენობის ადაპტირება
3. რაც შეეხება შინაარსს: პროგრამულ დაგეგმარებაში ცვლილებები შეეხება, როგორც არსებული, ასევე სამომავლო პროექტების ჩამოყალიბების პროცესს. ახალი მენეჯმენტის პირობებში 2017 წლის აპრილის თვე გამოცხადდა ახალი პროექტებისათვის იდეების შეგროვების ეთაპად. ეს უკანასკნელი კი ხელს შეუწყობს მაუწყებელს სწორად დაგეგმოს პროგრამული პრიორიტეტების შესრულების ეთაპები.
4. გამოცხადდა 6 თვიანი სტაჟირების პროგრამა, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს რადიოს სტრუქტურაში ადამიანური რესურსების გადახალისების და შევსების პროცესს.

სამწუხაროა, რომ პირველ კვარტალში ვერ მოხდა რადიოს შენობის ადაპტირების სამუშაოების დაწყება, თუმცა დასრულებულია მოკვლევა და ხდება სატენდერო წინადადების კორექტირება. ეს მონაცემები საკმარისია იმისათვის, რომ მომდევნო კვარტალისათვის აჭარის რადიო ხელმისაწვდომი გახდეს ეფლით მოსარგებლებებისათვის.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი გახდა აჭარის რადიოს ვებ გვერდი [www.radioajara.ge](http://www.radioajara.ge) დაკინყეთ ინფორმაციის განახლება/განთავსება. საგულისხმოა, რომ ვები გასული წლის ნოემბრიდან აღარ ფუნქციონირებდა აქტიურად. დღეისათვის ვებგვერდზე ინფორმაციის ინფორმაციის განახლება რეალურ დროში მიმდინარეობს.

ამასთანავე იყო მცდელობა რადიოს ანალიტიკური გადაცემები ჩაგვეერთო ფეისბუქ ლაივის მეშვეობით, თუმცა ინტერნეტის გაუმართავობის გამო ეს საკითხი ისევ დარჩა ერთ-ერთ გამომწვევად.

<sup>14</sup> რადიოს გადაცემების მაჩვენებლები [https://www.google.com/url?hl=en-GB&q=https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPSWtiUmIZVEdha00/view?usp%3Ddrive\\_web&source=gm ail&ust=1491913570354000&usq=AFQjCNHL\\_-wZPm2mUk0bjT2N56vba8kWWw](https://www.google.com/url?hl=en-GB&q=https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPSWtiUmIZVEdha00/view?usp%3Ddrive_web&source=gm ail&ust=1491913570354000&usq=AFQjCNHL_-wZPm2mUk0bjT2N56vba8kWWw)




საანგარიშო პერიოდში გადაცემა „ფაქტორი რუსუდან აბაშიძესთან ერთად“ იქცა მულტიმედია პროექტად, რომელიც დაფარავს ტელე, რადიო და ინტერნეტ პლატფორმებს. ამ დროისათვის მნიშვნელოვანია, შემცირდეს ტექნიკური ხარვეზები და დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ მრავალფეროვანი ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა.

რადიოს ვიზუალიზაციის საკითხის გამართვის შემდეგ მაუწყებლის პროექტები მულტიმედია ფორმატში გადავა. მათ შორის, იგეგმება რადიოს დილის გადაცემის და ღამის მუსიკალური ეთერის სატელევიზიო ფორმატში ინტეგრირება.

#### #ინტერნეტი- შედეგები და საჭიროებები

მაუწყებლის ინტერნეტპლატფორმის გამართული და სწრაფი მუშაობა დღეისათვის წარმატების გარანტიაა.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვეზრუნა ვების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლებაზე, თუმცა ეს დასაწყისი ნაბიჯი არ არის საკმარისი ინტერნეტრესურსის ასათვისებლად. მომდევნო კვარტალის გამოწვევაა სწორად გადანაწილდეს სამუშაო რესურსები და განახლების გრაფიკები. ასევე საჭიროა ჩატარდეს შიდატრენინგები.



პირველი კვარტალის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო მონიტორინგის სისტემის აწყობისათვის გადადგმული ნაბიჯები.

მაუწყებელში ჩამოყალიბდა ხარისხის კონტროლის სისტემა - მონიტორინგის სამსახური შეუდგა მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურის საქმიანობა სრულად ვერ მოიცავს ორგანიზაციის ყველა მედიაპროდუქტს, ასევე შესასწავლია რეგულირების წესები, დღეისათვის ჩატარებული სამუშაოები აკმაყოფილებს საწყისი ეტაპისათვის დასახულ მიზნებს მეტნაკლებად ეთანხმება.

პირველი სირთულე რასაც სამსახურის აწყობისას გამოვლინდა მაუწყებლის თანამშრომელთა ნაკლები ინფორმირებულობა და გამართული მექანიზმის მიუღებლობაა. უმეტეს შემთხვევაში, სამსახური აღიქმება როგორც სადამსჯელო მიმართულება და არა ერთ-ერთ რგოლი, რომლის მთავარი დანიშნულებაცაა მისცეს მიმართულება სამუშაოებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ასეთი შეხედულების საფუძველი, ნაწილობრივ შესაძლოა იყოს საკუთრივ ამავე სამსახურის ზოგიერთი წევრის შეხედულება, რომ მონიტორინგის სამსახურში უნდა მუშაობდნენ სხვებზე გაცილებით მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები. რაც ზრდის სამსახურის მიუღებლობის დონეს.

ამ ორი მნიშვნელოვანი და ურთიერთდაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად, მომდევნო კვარტალში იგეგმება უფრო მეტი შეხვედრის ჩანიშვნა, რათა მოხდეს მკაფიო შიდა განმარტებები, ინფორმაციის გაცვლა, თანამშრომლობის გზებსა და პერიოდულობაზე შეთანხმება და სხვ. ასევე, დაინერგება როტაციის პრინციპი, რაც ვფიქრობთ, უფრო მეტად გაზრდის მიმღებლობას. სამსახურის მუშაობაში სასურველია ჩაერთოს გარე პირები. ამ გზით გაიოლდება ხარვეზების უფრო ოპერატიულად აღმოფხვრისკენ მიმართული რეკომენდაციების გაცემას, ასევე მთლიანობაში აამაღლებს პროდუქციის ხარისხს, რაც მაყურებლებთან ერთად, პირველ რიგში, სწორედ პროდუქციის შემქმნელებისთვის არის სასარგებლო.

პრობლემურია გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისას რგოლებს შორის კავშირი - დავალებების გაცემის და მათი შესრულების სიზუსტე და სისწრაფე. რაც ორგანიზაციის სისტემური გაუმართაობის შედეგია.

საჭიროა სხვადასხვა რედაქციების (სპორტული, მუსიკალური და ა.შ.) შექმნა და სხვა სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობა, ასევე აუცილებელია პროგრამული პრიორიტეტების ჯერ კარგად გაანალიზება თითოეული გუნდის მიერ, შემდეგ კი უკეთ და ხარისხიანად შესასრულება საშუალო და გრძელვადიანი გეგმების მეშვეობით.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ნეპოტიზმი, რასაც (საზოგადოებრივი მაუწყებლის რეალობაში) აქვს უარყოფითი მხარეები და ხშირად მისი არსებობა თვალსაჩინოა არამცთუ პატარა გადაცდომების, არამედ საქმისადმი სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულების დროსაც კი. ამ ეტაპზე, მოცემული პრობლემის მთლიანად გადაჭრა, ვფიქრობთ, შეუძლებელია, თუმცა სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, ნაწილობრივ შეიძლება მოგვარდეს. ასევე, თუ თითოეული გადაცემის ავტორს და ხელმძღვანელს ექნება განცდა და დამატებითი მოტივაცია (სამწახანოდ, ხშირად ერთადერთ მოტივატორს, ხელფასი წარმოადგენს), რომ პროდუქცია, რომელსაც ქმნიან ძალიან მნიშვნელოვანია მაუწყებლისთვის და საზოგადოებისთვის, და თუ უფრო თვალსაჩინო იქნება მათთვის მაყურებლების უკურეაქცია (რეიტინგები, გამომხმარებლები და ა.შ.), სავარაუდოდ, ისინიც მეტი ინტერესით მოეკიდებიან საქმეს, რაც თავის მხრივ შექმნის საფუძველს, რომ მუდმივად არ დაიმალოს დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება და სამსახურში გამოუცხადებლობა.

ამ პროცესში მთავარი როლი სხვადასხვა რგოლების ხელმძღვანელებს, ავტორებს, რეჟისორებს, პროდიუსერებს აქვთ, რადგან ჩვენი სამსახურის მთავარი ფუნქცია, ხარვეზების გამოვლენასთან

ერთად, ხარისხის ამაღლებაც არის, ამიტომ თუ გვეცოდინება კონკრეტული თანამშრომლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები, შესაძლებლობა გვექნება, გარდაუვალ სერიოზული ჩავარდნამდე (როგორებიც საანგარიშო პერიოდში არაერთგზის დაფიქსირდა და რომლებზეც შესაბამისი სამსახურები, ადრე თუ გვიან ვალდებული იქნებიან მიიღონ გადაჭრელი ზომები) გავცეთ დროული რეკომენდაციები გადამზადების, ან უკიდურეს შემთხვევებში, მათი უნარ-ჩვევების შესაბამის პროფიკაზე გადაყვანის თაობაზე.

რაც შეეხება სამსახურში არსებულ პრობლემებს. ესენია:

ტექნიკურ საკითხები - სამუშაო სივრცის არქონა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა შეხვედრების გამართვა, პროექტორის საშუალებით ჩვენებების მოწყობა და კონკრეტული ხარვეზების შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფებთან განხილვა

სამსახურის კომპეტენციის გაზრდა - როგორც სამსახურის, ასევე ჩვენი სამსახურის წევრების პრაქტიკული გამოცდილების (ამ მიმართულებით) არქონა. პრობლემა დაძლევადია სამუშაო ფორმატში.

გასული სამი თვის მანძილზე ჩატარდა არაერთი შეხვედრა ცალკეული გადაცემების შემოქმედებით ჯგუფებთან, რომელზეც მმართველ საბჭოს წევრებთან და კონკრეტული პროდუქტის შემქმნელებთან ერთად, განვიხილეთ ცალკეული გადაცემები (“დილის ტალღა“, “ეთნოფორი“, “ჰეშთეგი“, “ბუნების კანონი“, საინფორმაციო გამოშვებები და სხვ.) გაცემული კონკრეტული რეკომენდაციებიდან, მხოლოდ მცირე ნაწილი შესრულდა.

შესაბამის სამსახურებს პერიოდულად ეგზავნებოდა როგორც ნედლი, ასევე დამუშავებულ (მათ შორის, რეჟისურასთან, გამართულ მეტყველებასთან, ტიტრებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და სხვ.) ინფორმაციას საინფორმაციო გამოშვებებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ბევრ სასიკეთო ძვრასთან ერთად, სატელევიზიო პროდუქციის წარმოება, სამწუხაროდ, დიდი ნაწილში, კვლავ გაუმართავად მიმდინარეობს, ამიტომაც წარმოებული პროდუქტის მნიშვნელოვანი წილი თავიდანვე წუნდება. ვფიქრობთ მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახური ამ კუთხით მუშაობას მაუწყებლის განვითარების სამსახურებთან ერთად გააქტიურებს.

შიდასტანდარტების გაძლიერებისა და პროფესიული უნარების ამაღლების მიზნით, 2017 წლის 6 თებერვლიდან მაუწყებლის მუშაობას (გადაცემები: „მთავარი“ - 12:00 „მთავარი“ - 21:00 „ფაქტორი“ „ჰეშთეგი“) ორთვიანი სასწავლო მედიამონიტორინგი ჩატარდა. ააიპ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მონიტორინგის დასკვნები გახდა შიდასამუშაოების კორექციის საფუძველი<sup>15</sup>

2017 წლის 20 მარტს სასწავლო მედიამონიტორინგის ხელმძღვანელი / ააიპ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის დირექტორი გიორგი მგელაძე შეხვდა მაუწყებლის მმართველთა საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, ახალი ამბების, „ფაქტორისა“ და „ჰეშთეგის“ გუნდებს. ვიზიტის ფარგლებში შესაძლებლობა გექონდა გავცნობოდით ყველა საჭიროებას და ხარვეზს, რომელიც გამოვლინდა მონიტორინგის პერიოდში და რომლის გამოსწორებაც მნიშვნელოვნად შეცვლის მაუწყებლის სანდოობას და ხარისხს.

მაუწყებელმა მოამზადა საინფორმაციო ვიდეორგოლი, სადაც თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრის შემოტანის შესაძლებლობაზეა მითითება.<sup>16</sup>

ჩვენი მოვალეობაა ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

დაინტერესებულ პირებს ხარვეზის დაფიქსირებიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვთ მოგვმართოთ განცხადებით და მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა მოითხოვონ.

<sup>15</sup>ააიპ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია <http://qartia.org.ge/>

<sup>16</sup>თვითრეგულირების შესახებ ვიდეორგოლი <https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1284456444963912/>

მაყურებელი, რომელიც შეამჩნევს, რომ ჩვენ საქმიანობაში ხარვეზებია, შეუძლია მოგვმართოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის [tvitregulireba@ajaratv.ge](mailto:tvitregulireba@ajaratv.ge) მეშვეობით. ეს ფორმატი ხაზს უსვამს მაუწყებლის სრულ პასუხისმგებლობას და მზაობას განიხილოს დამფინანსებელთა მოსაზრებები.

## 7. იურიდიული მხარდაჭერა

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მონაწილეობა პროცესებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იურიდიული სამსახურის - ვნახო ჩემი ბრძანება დავალებებზე გამართული მუშაობა ერთ-ერთი აუცილებლობა იყო, მით უფრო, როცა სამსახურის ეფექტიანობის საჭიროება შიდა აუდიტის დასკვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტს წარმოადგენს.

- ✓ შემუშავდაახალი ამბებების სამსახურის დებულება, თუმცა მისი განხილვა კვარტალის განმავლობაში აქტიურად არ მომხდარა.
- ✓ ასევე გაიმართა მიმოწერა საქართველოს პროფესიულიკავშირების გაერთიანებასთან თანამშრომელთა შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. ამ ეტაპზე საკითხის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.
- ✓ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ექსპერტებთან ერთად (ნათა ძველიშვილი, ზვიად ქორიძე) შემუშავდა სოციალურ ქსელში გამოსაფვის თავისუფლებისა და თანამშრომელთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხების დოკუმენტი. ამ ეტაპზე მიღასამუშაოები დასრულებული არ არის.

2017 წლის თებერვალში მიმართეთ საქართველოს სახალხო დამცველს და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ოლერანდუმის ცენტრს<sup>17</sup>, ჩვენი მიზანია 2017 წლის განმავლობაში ჩვენ გუნდს ჰქონდეს შესაძლებლობა რელიგიის საკითხებზე გადაამოწმოს მოპოვებული ინფორმაციის სისწორე და მასალის მზადებისას მიიღოს დამატებითი რეკომენდაციები. ასევე გამოვთქვამთ მზაობას, ხელი შევუწყოთ ოლერანდუმისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემას, გავაშუქოთ ამ საკითხებთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

2017 წლის 13 იანვარს მივმართეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს სრულად დაკომპლექტებისა და საკანონმდებლო მხარდაჭერის მიღების მიზნით.<sup>18</sup>

2017 წლის 27 იანვარს მივმართეთ საქართველოს პარლამენტს და გამოვხატავთ მზადყოფნას ჩავერთოთ ყველა სამუშაო პროცესში, რომელიც შეეხება გამოსაფვის თავისუფლების, მედიის/ჟურნალისტთა უფლებების და საზოგადოებრივი არსების განვითარებას.<sup>19</sup>

<sup>17</sup> კორესპონდენცია საქართველოს სახალხო დამცველს და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ოლერანდუმის ცენტრს <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPc2ZGX01TdDU5d1k/view>

<sup>18</sup> კორესპონდენცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPRVNCU1d0a1R3MDg/view>

<sup>19</sup> კორესპონდენცია საქართველოს პარლამენტს <https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPaGFZQ3FPZzhDN0E/view>

## 8. კვარტალის ტენდერები

---

2017 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ პირველ კვარტალში გამოცხადდა 21 ტენდერი. მათ შორის, 4 არშედგა, ხოლო 17 შედგა. გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

განხორციელდა 61 გამარჯვებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის:

13 საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით

48 სახელმწიფო ბიუჯეტით

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 6 ხელშეკრულება. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ფინანსურ ანგარიშში)

## 9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალიუნარ-ჩვევების შეძენა

---

### მაუწყებლის კონკურსები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელმა გამოაცხადა კონკურსი შემდეგი მიმართულებით:

1. ახალი ამბების წამყვანი - გამარჯვებული გამოვლინდა
2. ვებ რედაქტორი - კონკურსის შედეგად მთავარი ფიგურა ვერ გამოვლინდა, თუმცა საკონკურსო კომისიის რეკომენდაციით გამოსაცდელი ვადით დაინიშნა ორი ადამიანი
3. ეკონომიკის მიმართულების წამყვანი - კონკურსის გამარჯვებული ვერ გამოვლინდა
4. სპორტის მიმართულებით წამყვან-რეპორტიორი - გამარჯვებული გამოვლინდა
5. სტილისტი - გამარჯვებული გამოვლინდა
6. შემოქმედებითი გადაცემის წამყვან-რეპორტიორი - კონკურსი მიმდინარეობს
7. სტაჟირების კონკურსი - ორგანიზაციამ მიიღო 22 სტაჟიორი

შიდატრენინგი ახალი ამბების მომზადების თაობაზე - საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების გუნდთან ერთად მუშაობდა ჟურნალისტი ზვიად ქორიძე და ააიპ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი ნათა ძველიშვილი. ასევე გვექონდა შესაძლებლობა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში გვემასპინძლა ფრანგი ჟურნალისტის რობერტ პარსონსისათვის.

### მეფუძვლების გაკვეთილები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სავალდებულო გახდა მეფუძვლების გაკვეთილები. ამავე დროს დაიწყო მედიასკოლის მექანიზმის გამართვა. რაც მოგვცემს შესაძლებლობას მუდმივად ვიზრუნოთ ჩვენი უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე. ამავე დროს გავართვათ თავი სტაჟირების პროგრამას. საგულისხმოა, რომ მედიასკოლა სამომავლოდ შეიძლება იქცეს მაუწყებლისათვის დამატებითი ფინანსების მოძიებისათვის.

### შრომის უსაფრთხოების საკითხები



თანამშრომელთა სამუშაო პირობების შექმნა მაუწყებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. საქართველოს შრომის, ჯამთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინსპექტირების ანგარიშის თანახმად<sup>20</sup>, ამ პასუხისმგებლობის თავის გათმევისათვის მაუწყებელს მნიშვნელოვანი თადარიგის დაჭერა მოუწევს, მათ შორის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამართული ინფრასტრუქტურა.

არსებული რეალობის შეცვლის მიზნით გადაიდგა რამოდენიმე ნაბიჯი. მათ შორის მოხდა შენობის მოწესრიგება, კედლების ცეცხლსაშიში ზონების დასხურება, თუმცა ეს მცდელობები არაეფექტურია არსებულ რეალობაში. შესაბამისად, მოხდა შენობის მესამე სართულის შეკეთების ხარჯთაღრიცხვა (150 000 ლარი) ეს ნაბიჯი იქნება გამოსავალი როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დასაცავად (რადგან სახურავიდან ჩამოსული წყალი აზიანებს კედლებს), ისე ადამიანისათვის შესაფერისი სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

შენობის საკითხებზე მიმდინარეობს კონსულტაციები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

#### 10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოცხადდა სტაჟირების პროგრამა, რაც მოიცავს მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე (ტელევიზია, რადიო და ვებ) შემდეგი თაობის პროფესიონალების მომზადებას და მათ ჩართვას საქმეებში. კონკურსი მოიცავდა საბუთების შერჩევის, გასაუბრებს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. ამდროისათვის შერჩეულია<sup>21</sup>22 სტაჟიორი, რომლის ჩართულობის შესახებ ძირითადი გადაწყვეტილებების მიღება მომდევნო ორი კვარტალის მთავარი ამოცანები იქნება.

<sup>20</sup> ინსპექტირების ანგარიში

<file:///C:/Users/1/Downloads/%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>

<sup>21</sup>ინფორმაცია კონკურსების შესახებ <http://ajaratv.ge/article/ge/41>

პირველი კვარტალის განმავლობაში მაუწყებელმა არაერთხელ დააფიქსირა, რომ ღიაა ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობისათვის შემდეგი ნაბიჯები გადაიდგა:

- ✓ გაფორმდა მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან (კსუ)
- ✓ გაფორმდა მემორანდუმი და მაუწყებლის ეთერში განთავსებულია საქართველოში ყველაზე სანდო და კვალიფიციური ჯგუფის ააიპ „სტუდია მონიტორის“ საგამოძიებო ფილმები.
- ✓ გაკეთდა შეთავაზება ყველა რეგიონული მედიისათვის, რათა მათი მედიაპროდუქტები გახდეს კიდევ უფრო ხელმისაწვდომი მაყურებლისათვის ჩვენთან პარტნიორობის ფარგლებში
- ✓ გარდა იმისა, რომ 2017 წლის 10 იანვრიდან მაუწყებელი სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ოფისის განლაგების გამო ქირას აღარ გადაიხდის. მიღწეულია შეთანხმება, რათა საზოგადოებრივი არხების საქმიანი გადაკვეთა იყოს თავისუფალი დამატებითი ფინანსური ხარჯებისაგან, ასევე მოქმედებს მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ მაუწყებელს მიეცა სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელში დაცული საარქივო მასალების გამოყენების უფლება.
- ✓ მაუწყებელი და გერმანულენოვანი სამაუწყებლო კომპანია „დოიჩე ველე“ Deutche Welle<sup>22</sup> პარტნიორები არიან. რაც ნიშნავს იმას, რომ მაუწყებელს უფასოდ მიეცა შესაძლებლობა თარგმნოს და საკუთარ ეთერში განათავსოს ევროპული პროდუქცია.
- ✓ ფილმი ექვთიმეს გადაღებაში ჩართვა - მაუწყებელი შეუერთდა კინოპროექტის „ექვთიმე ღვთის კაცი“ მხარდამჭერ აქციას. საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტურ ფილმის გადაღება საქართველოსა და საფრანგეთში სამი წელია მიმდინარეობს. პროექტი დაახლოებით ნახევარიმილიონი ლარი ჯდება, თანხა კი საზოგადოების მხარდაჭერით გროვდება. მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო სოციალური კლიპის გადაღების პროცესში. მხარდამჭერ ღონისძიებაზე<sup>23</sup> ბათუმის „ქალთაკლების“, საერთაშორისო კულტურის ცენტრისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ფელევიზიისა და რადიოს მიერ მომზადებული კლიპი აჩვენეს. გადაღებები რამდენიმე დღეში დასრულდება. ფილმის რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის განცხადებით, პრემიერა ბათუმში, სავარაუდოდ, მაისში გაიმართება. ამდენად, მომდევნო კვარტალის კიდევ ერთი გამომწვევა ამ მნიშვნელოვანი აქტივობის მხარდაჭერა დარჩება
- ✓ 8 მარტის აღნიშვნა -“ქალები აჭარიდან მე-20 საუკუნე“ ფოტოგამოფენა USAID და IFES დააფინანსა. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ფელევიზიისა და რადიოს ასევე ბათუმის გენდერის მედიაცენტრის ორგანიზებით დაგეგმილი ღონისძიება ფილმის ჩვენებით გაგრძელდა, რომელზეც წარმოდგენილი იყო გენდერის ცენტრის მიერ მომზადებული გადაცემები, მოგვიანებითკი აჭარის ფელევიზიის დოკუმენტური ფილმის „რჩეული ფრაგმენტების“ ერთი ისტორია გაიხსენეს, რომელიც პირველი მფრინავი ქალის, ფადიკო გოგიტიძის ისტორიას გვიყვება. მსგავსი ღონისძიებები აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებსა და დედაქალაქშიც იგეგმება<sup>24</sup>.
- ✓ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ღია იყო თანამშრომლობისათვის სხვა მედიაორგანიზაციებთან. ამ ფორმატში ყველაზე ხშირად ვთანამშრომლობდით სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“, ასევე ფელეკომპანიებთან “tvპირველი” და “იმედი”.
- ✓ "ევროპული კაფე" ბათუმში. „იდეები სოციალური ჩართულობისთვის“- ამ სახელწოდების სემინარი მოსწავლეებმა და სტუდენტებმა ლიტერატურულ კაფეში მოისმინეს. ლექციის ფარგლებში მონაწილეებმა სოციალური ინიციატივები განიხილეს და საზოგადოებაში ახალგაზრდების ჩართულობის აუცილებლობაზე იმსჯელეს. ღონისძიება პროექტის ფარგლებში ჩატარდა, სახელწოდებით „დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება

<sup>22</sup>დოიჩე ველეს ოფიციალური ვებ გვერდი <http://www.dw.com/en/top-stories/s-9097>

<sup>23</sup>„ექვთიმე ღვთისკაცის“ კინოპროექტი <http://ajaratv.ge/news/ge/13547/eqvtime-gvtiskacis-kinoproecti.html>

<sup>24</sup>ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა <http://ajaratv.ge/news/ge/12394/qalta-saertashoriso-dge.html.html>

საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.” მიზანი ხარისხიანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა და დამოუკიდებელი მედიის გაძლიერებაა. “ინტერნიუსი - საქართველოს” ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოც ჩაერთო.<sup>25</sup>

მაუწყებელი მადლობას უხდის ყველა პარტნიორს და მომდევნო პერიოდების განმავლობაში საქმიანობის კოლეგიურ ფორმაში გაგრძელების სურვილს გამოთქვამს.

## 12. #მოუსმინე აუდიოროიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

მაუწყებელში თანდათან ინერგება საზოგადოებასთან უკუკავშირის სისტემა, რაც გამოიხატება ფოკუსჯგუფების მოსაზრებების გაზიარებაში, სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრებში და ცხელი ხაზის გააქტიურებაში.

### ფოკუს ჯგუფები

პირველი კვარტალის განმავლობაში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური ფოკუსჯგუფების ჩატარების ინიციატორი იყო. ამ გზით მაუწყებელს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა მაყურებლების პოზიციებს:

- ✓ 08.02.17 ფოკუს ჯგუფი (ახალი ამბები);
- ✓ 09.02.17 დიზაინის ფოკუს ჯგუფი;
- ✓ 06.03.17 ფოკუს ჯგუფი ("დილის ტალღა");
- ✓ 23.03.17 ფოკუს ჯგუფი ("ჰეშთეგი");
- ✓ 28.03.17 შიდა ფოკუს ჯგუფი ("ფაქტორი");

### სტუდენტებთან შეხვედრა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჟურნალისტიკის დღე მომავალ ჟურნალისტებთან ერთად აღვნიშნეთ. 21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღეს ტელევიზიასა და რადიოში გამოცხადებულ კონკურსებსა და სტაჟირების პროგრამაზე ვესაუბრეთ მომავალ ჟურნალისტებს ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციების ფაკულტეტის ფაკულტეტის-რადიოჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს დეტალურად გავაცანით ის შესაძლებლობები, რასაც მათ საზოგადოებრივი მაუწყებელი სთავაზობს. ასევე ვუპასუხეთ შეკითხვებს, რომელიც ტელევიზიის პოლიტიკას, გადაცემებსა და მათ ფორმებს შეეხებოდა. მომავალი ჟურნალისტები კონკურსებსა და სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობას გეგმავენ და საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებასთან მუშაობის ღიაობის მნიშვნელობაზე საუბრობენ.<sup>26</sup>

იმავე დღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან მერაბ ხალვაშთან ერთად ამავე უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდით. ჩვენ სტუდენტებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცედურები გავაცანით და სამომავლო პერსპექტივებზე ვისაუბრეთ.<sup>27</sup>

აღნიშნული ვიზიტების ფარგლებში მაუწყებელსა და უნივერსიტეტებს შორის სამომავლო თანამშრომლობა დაიგეგმა.

<sup>25</sup>იდეები სოციალური ჩართულობისათვის - <http://ajaratv.ge/news/ge/11959/%EF%BF%BDideebi-socialuri-chartulobistvis%EF%BF%BD.html.html#.WLLkT8s21ew.facebook>

<sup>26</sup>ჟურნალისტიკის დღის აღნიშვნა <http://ajaratv.ge/news/ge/13016/zhurnalistikis-dge.html>

<sup>27</sup>ვიზიტი <http://bsu.edu.ge/main/page/7652/index.html>

## სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელმა აჭარის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს და მკითხველთა კლუბის წევრებს უმასპინძლა. ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ სტუდიები და მუშაობის პროცესი, ასევე მიეღოთ პასუხები საზოგადოებრივი არხის საქმიანობასთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი ჩართულობა - მაუწყებლის საქმიანობაში 5 თვით ჩაერთო ყველაზე აქტიური ადამიანი. რითაც საზი გაეცა შესაძლებლობას, რომ ჩვენ ყველა მაყურებელს, მსმენელს და მომწონებელს (ლაიქერს) აქვს შანსი იყოს მაუწყებლის საქმიანობის მონაწილე.

## ცხელი საზი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეები უმეტესად მოგვმართავდნენ შემდეგი პრობლემებით/საკითხებით:

- ✓ საკუთრების უფლების ხელყოფა
